საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ჭეშმარიტ კომუნისტთა კანტორა ოთხშაბათი, 13 აგვისტო 1919 წ. № 180

ალეფბეა

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების თასი როგორც პირველ გვერდზე, ეს—ერთ ხაზ. პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 40 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16—62.

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ჭეშმარიტ კომუნისტთა კანტორის ცენტრალური კომიტეტისა.

ჩრდილოეთის რეაქცია

ჩრდილოეთის შავი რეაქცია დენიკინის სახით კვლავ გვიახლოვდება.

ამის ნიშნებს ჯერ შიგნით, ჩვენი ქვეყნის ფარგლებში მოკალათებული ზოგიერთი ჯგუფების მოქმედებიდანაც ვამჩნევთ. „პიტალო კლდის“ უდიერი კილო, მასთან შეხმატკბილებული გაბალშევიკებული „სოციალ-დემოკრატი“ ორგანო ყოფილ ამხანაგებისა და ამ ჟამად ჩვენში არ არსებული რუსეთის სოციალ-დემოკრატიის წევრებისა, რუსეთელ სოციალისტ რევოლიუციონერების და „სახალხო“—„საქართველოს“ ზოგიერთ მწერლების იერიშები და თავზე ხელაღებულ, „კომუნისტებათ“ წოდებულ ზოგიერთ ვაჟბატონების სოფელ-სოფელ სიარული—ყველაფერი ეს მომასწავებელია ქარიშხალის მოახლოვების.

ჩრდილოეთიდან ბომ ეს საფრთხე აშკარად გვიახლოვდება. იმ დროს, როცა გენერალი ბარათოვი დენიკინის დავალებით ტკბილად ესაუბრება ჩვენს მთავრობას და ძმობა-ერთობას ეფიცება, დენიკინისავე დავალებით ოსების შეიარაღებული ბრბოები მამისონის ულელტეხილზე ახდენენ თავდასხმას და ჩვენი ქვეყნის შუაგულში შემოჭრას ლამობენ.

ჩვენი ქვეყანა კვლავ დიდი საფრთხის წინაშე სდგას. ასეთს დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მეზობლების ყოფაქცევას, მათს ორიენტაციას.

ორ ჩვენ მეზობელთაგან—ერთი, სახელდობრ სომხეთი, ნაკლებათ არის სანდო, რადგან იქ გაბატონებულ დაშნაკურ პოლიტიკის წყალობით, ეროვნული შუღლი და მტრობა უფრო ვრცელდება, ვინემ შეთანხმებული საერთო მოქმედება.

მაშასადამე ჩვენი გულისყური ადერბეიჯანისაკენ უნდა იქნას მიქცეული. ადერბეიჯანთან ჩვენ უკვე გვაქვს სამხედრო კავშირი, რომლის მთავარი მიზანია მოსულ მტრის საერთო ძალით მოგერიება. ეს საერთო მტერი—დენიკინი უკვე მომდგარია ადერბეიჯანის საზღვრებზე და კასპიის ფლოტის ნაწილის მიღების შემდეგ, ის თვით ბაქოსაც ემუქრება. ადერბეიჯანის გაბატონებულ წრეების ერთი ნაწილი, ეჭვი არ არის, დენიკინისებურ რუსეთის სიყვარულით არის გამსჭვალული და თავის წოდებრივ თავმოყვარეობის გულისთვის და მშრომელ ხალხის ასალგამავად ის მოხერხებულ მომენტით ისარგებლებს და შავ გენერალს კარებს გაუღებს, როგორც ეს თავის დროზე მთიელთა მთავრობამ მოიმოქმედა. ამ მხრით ძალიან ნაკლები ნდობის ღირსია აგრეთვე ბაქოს პროლეტარიატის ერთი ნაწილი, რომელიც აშკარა თუ ფარულ დენიკინელებისაგან შესდგება. ეს ფარული დენიკინელები ჯერ-ჯერობით კომუნისტურ ნიღაბს ატარებენ, რაც კიდევ უფრო საშიშია ნამდვილი დემოკრატიისათვის.

ამიტომ ჩვენი ყურადღება ბაქოსკენ უნდა იყოს მიმართული. მთავრობა ხელშეკრულობის ძალით, ეჭვი არ არის, გაგზავნის ბაქოში დამხმარე ძალას ჯარით იქნება ეს თუ მცოდნე სპეციალისტების სახით. მაგრამ ეს საკმაო არ არის. რევოლიუციონური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ ყველა იმ ძალების შეკავშირებას, რომელი ძალებიც ობიექტიურათ, თუ სუბიექტიურათ დენიკინის წინააღმდეგნი არიან. განსაკუთრებით კი პარტიული ორგანიზაციები უნდა ეცადნენ სააშკარაოზე გამოიტანონ მავნე და დამღუპველი მოქმედება იმ ვაჟბატონების და ჯგუფებისა, რომელნიც ვითომდა დენიკინს ებრძვიან, ნამდვილად კი ადგილობრივ მთავრობების მოშლას ცდილობენ, რათა განთავისუფლებულ ადგილებზე „სოვდეპიები“ დასვან.

შიგ საქართველოს საზღვრებშიაც დიდი მუშაობაა საჭირო. აუცილებელია დამრღვევ ძალების წინააღმდეგ რეპრესიებით ბრძოლა, რომელსაც ჩვენი მთავრობა აწარმოებს, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა აუხსნათ ხალხის ფართო მასებს, თუ რა შედეგს მოგვიტანდა მაგალითად კომუნისტ-ბალშევიკების ფეხის ხმის აყოლა, საჭიროა მოვაგონოთ ხალხს, თუ როგორ მოღალატურათ იქცეოდენ ისინი ყოველთვის, როცა ჩვენი ხალხი გარეშე საფრთხის წინაშე იდგა.

მხოლოდ დემოკრატიის შეგნებულ და შეთანხმებულ მოქმედებას შეუძლია კარზე მომდგარი საფრთხის აშორება.

პრესა

„ნორ აშხატავორი“ (№ 161) მოწინავე წერილში—„სომხიჟამიების ახალი შემოტევა“—სწერს შემდეგს:

„კლემანსოს დეპეშას და ჩვენ შეკითხვას—„ჩვენთან თუ ჩვენს წინააღმდეგ“—საბაბი მიუცია ქართულ პრესისთვის განურჩევლათ მიმდინარეობისა, ახალი შემოტევისათვის საერთოდ სომხეთის და კერძოთ სომეხ დემოკრატიის წინააღმდეგ. დაბრმავებული სიძულვილის შხამით, გაბრაზებული თავიანთი ზნეობრივი გაკოტრებით, გამოსულან მოსყიდული კალმოსნები, პირში დორბლ მორეულნი ილაშქრებენ სომხის მშრომელ ხალხის წინააღმდეგ, რომელიც იბრძვის თავის არსებობის შესანახად. როგორც ოსმალეთის პირველ შემოსევის დროს, ქართველი ხელმძღვანელი წრეები, დღესაც არა თუ ხელს არ იღებენ რომელიმე რეალურ დახმარებისაგან, არამედ—ცდილობენ გაამართლონ მაჰმადიან ბრბოების სიმხეცე, რომელიც ოსმალურ-ადერბეიჯანური ნაკარნახევის ნაყოფია.

„ოქროს ფერით დაბრმავებული კალმოსანები მთელი თვეები ერთავად აშკარა სიყალბით, ტყულებით და ცილისწამებით ცდილობდნენ წინათ დაემზადებინათ საზოგადოებრივი აზრი სომხეთში მოსალოდნელ ამბებისთვის და დღეს, როცა ეს ამბები უკვე ფაქტია, ცდილობენ ეს მოვლენები არა თუ მარტო „გააშუქონ“, არამედ—დაიცვან კიდეც. ეს ჯერ ცოტაა; ყველაზე უფრო სასირცხვილო ფორმით, ოფიციალურ უარყოფის წინააღმდეგ, მხოლოდ მარტო წარმოდგენის საფუძველზე, ქართული პრესა, თვით მენშევიკების „ბორბა“ და „ერთობა“, რომლებიც გუშინ სომხეთს უმღეროდნენ სიყვარულის სიმღერას, ხეპრულათ აბრალებენ მეზობელ სახელმწიფოს მთავრობას და ხელმძღვანელ წრეებს იმ დანაშაულს, რომლებიც თვითონ ჩაუდენიათ. ქართველ დემოკრატიის საკართლიან გაჯავრების ასაცილებლათ მენშევიკი ჯამბაზები თავიანთ მარცხის საბაბათ თვლიან ან სომხებს, ან დაშნაკელებს.

„ჩვენ ხშირათ მოგვიგონებია მკითხველებისათვის და სომეხ დემოკრატიის ნიღაბ აფარებულ „მეგობრებისთვის“, რომ აქლემზე შეჯდომის დროს წელში არ იხრებიან.

„ის ძალდატანება, დევნა და დაბრკოლებანი, რომელსაც აწარმოებდა ჩვენი მთავრობა სომხეთის და მის ქვეშევრდომების მიმართ, ის სასტიკი სადამოენო ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდა საქართველო სომხეთის წინააღმდეგ, ყველა ეს ფაქტები ჯერ კიდევ არ არის დავიწყებული. საწყალ ლაზარესავით გადაქცევა არ ეკადრება რომელიმე პოლიტიკურ მოღვაწეს. ეკონომიურათ ყველაზე მეტი მხეცური ბოიკოტის შემდეგ იმის თქმა, რომ სომხეთს ვეხმარებოდითო, არ არის დასაშვები. დიახ, დახმარება იყო, მაგრამ ის იყო გარეშე ძალდატანებით და არა კეთილი სურვილით. „სამსახურის“ გაწევის დასამტკიცებლათ გვითითებენ ქორდანიას დეპეშაზე, მაგრამ ჩვენ თავის დროზე გამოვაცხადეთ, რომ ამ დეპეშაში მოყვანილი ციფრები არ შეეფერებოდა სინამდვილეს“.

ამ რიგათ, „ნორ აშხატავორი“ გამოლმა გვედავება. მისი წყრომა ერთის მხრით ეხება საქართველოს მთავრობას, მეორე მხრით კი ჩვენს პრესას.

დაშნაკელებმა ვერ შეიკავეს თავი პროვოკაციისაგან და ისევ იხსენიებენ სომხების დევნას, თუმცა ასეთ დევნას ადგილი არ ჰქონია და, პირიქით, დაშნაკელებმა არა ერთი და ორი აჯანყება მოგვიწყვეს ბორჩალოში და ახალქალაქში, რითაც უსარგებლო სისხლის ღვრა გამოიწვიეს.

რაც შეეხება ჩვენი პრესის ქუჩური კილოთი გინებას და ჩვენი კალმოსნების გამყიდველობას, ამათზე უნდა მოვახსენოთ დაშნაკელების გაზეთს, რომ ჩვენი კალმოსნები თავისი მცირე ძალღონით ემსახურებიან დემოკრატიას, ხალხს და ჩვეულნი არ არიან ვორონცოვ-დაშკოვების და დენიკინების ლაქიობას. ამიტომ მათი ოინბაზობა, ვითომ ჩვენ ვილაშქრებთ სომხის დემოკრატიის წინააღმდეგ, რომელიც იბრძვის თავის არსებობისათვის, პირდაპირ სასაცილოა, რადგან ჩვენ ვილაქრებთ დაშნაკელების წინააღმდეგ, იმ დაშნაკელების, რომელთაც არ შერცხვათ ყალბი ცნობები მიეწოდებიათ კლემანსოსთვის და ეჩივლათ ჩვენზე, ვითომ სომხებისათვის სურსათის მიწოდებას ვეწინააღმდეგებოდეთ.

ღლონტური კამათი

თედო ღლონტი იცავს „სახალხო საქმე“-ში კოოპერაციის „დამოუკიდებლობას“ საერთოდ. ამის გარშემო ჩვენ კამათი არ გვქონია. შეიძლება ღლონტს ჰგონია, რომ მისი დებულებები ამ საგანზე თეორიის სფეროს არ სცილდება, როცა ის რუსეთის ცენტრო-კავშირთან გაერთიანებას თუ დაკავშირებას ქადაგებს.

სწორედ ეს დაკავშირება იყო ჩვენს შორის სადავო. აქ აღვნიშნეთ, რომ ჩვენს წინააღმდეგ ღლონტი შეუკავშირდა „თვით ეშმაკს“.

ჩვენ იმის მტკიცებას არ შევუდგებით, თითქოს ღლონტი და „სახალხო“ საქართველოს დამოუკიდებლობას ხელს უშლიდენ. ეს ასე არ ხდება, თუ იმ მეფესავით წარმოვიდგენთ ღლონტს, რომელიც „გულში მღეროდა“...

ერთია განზრახვა, მეორეა მისი გამოფენა. და ეს გამოფენა ფედერალისტთა ზრახვებისა, ჩვენი სიძულვილით ნაკარნახევი, ხშირად საზარალოა საქმისთვის...

ფედერალისტები გასულ წელსაც არ ყოფილან საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგნი, როცა მათი პარტიის კაცები დაძვრებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და მთავრობის „კრიტიკით“ ძირს უთხრიდენ დამოუკიდებლობას...

მაშინ, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც გონს მოვიდნენ უფრო გულწრფელნი, იგრძნეს, რომ მათმა ამხანაგებმა ძლიერ შორს შესტოპეს და იარაღს მოჰკიდეს ხელი საქმის გამოსასწორებლად. გამოასწორეს კიდეც!..

ღლონტი, უეჭველია, იკითხავს—მაშ, მთავრობის მოქმედების კრიტიკა აღარ შეძლებულაო. ვუპასუხებთ: კრიტიკა შესაძლებელიც არის და საჭიროც, მაგრამ ისეთი თავაშვებული კრიტიკა, რომელიც ამჟამად სწარმოებს ფედერალისტების მხოლით, დაუშვებელია. მენშევიკების სიძულვილმა არ უნდა დაგაბრმავოთ!..

ამ „დაბრმავების“ ნიმუშს ჩვენ ვხედავთ ყოველ დღე: „სახალხოს“ ყოველ სტრიქონში, ფედერალისტი ორატორების გამოსვლებში! ერთი ასეთი მაგალითი იყო ღლონტის მორიგი გამოსვლაც. ეს ჩვენ აღვნიშნეთ. ეს იყო და ეს.

ღლონტის მტკიცება, დავის პრინციპიალურ ნიადაგზე გადატანა აქ უადგილოა.

ღლონტური კამათისთვის ჩვენ არც დრო გვაქვს, არც ადგილი...

მხოლოდ ერთს ვიტყვით: ვიცოცხლებთ და ვიხილავთ, თუ სადამდე შესტოპავენ სოც.-ფედერალისტები წელს თავიანთი „კრიტიკით“.

უკანასკნელი ცნობები

ინგლისური შტაბის ცნობა ნახიჩევანის ამბების შესახებ.

ინგლისელი ოფიცერი, რომელიც ერევნიდან 6 აგვისტოს გამოვიდა, გადმოგვცემს, რომ მისი წამოსვლის დღეს სომხების და თათრების შორის ბრძოლა შემწყდარი იყო. 4 აგვისტოს დანიშნული თათბირი არ შესდგა, რადგან დავალუდან სომხების ნაწილ-ნაწილად წამოსვლის გამო, ინგლისელ გუბერნატორს არ შეეძლო შეეწყვიტნა თათართა გამაგრებულ ხაზზე გადმოსვლა. იმედი ჰქონდათ, რომ თათბირი 6 აგვისტოს შესდგებოდა. სომხების მარცხენა ფრთა ბეიუკვედში იყო, საველე შტაბი კი ძველებურად ბაშ-ნურაშენში, როგორც ეტყობა, მართალია, რომ ჯულფის ხიდი სამხრეთისაკენ სპარსეთში გადასულ სომხებს დაუზიანებიათ და ეხლა მასზე მატარებლების მოძრაობა შეუძლებელია. ამის შესახებ შეკითხვა გაეგზავნა ინგლისის კონსულს თავრიზში. (ს. დ. ს.).

ფოსტის „ღესეგი“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 6 აგვისტოს ნომერში ჩამოთვლილი იყო ის წერილები თავიანთი ადრესებითურთ, რომლებიც ფოსტაში ჩვენს სარედაქციო ყუთში მოხვდნენ.

წერილები ყველა ოფიციალური ხასიათისაა. შეგვეძლო წერილების უკანვე ფოსტაში დაბრუნება, მაგრამ ეს ჩვენ განზრახ არ მოვიმოქმედეთ, იმ მოსაზრებით, რომ გვეგონა საფოსტო უწყება ასეთ უწესრიგობას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდა...

მოვსტყუვდით. ღღეს 12 აგვისტოა. მთელი ექვსი დღე გავიდა. არავინ ყურებსაც არ იბერტყავს, როგორც იტყვიან.

რას ნიშნავს ეს?..

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

12 აგვისტო

ინგლისური პრესის ცნობები.

საზავო კონფერენცია დღეს ახალ ცნობებს მოელოდა ბუდაპეშტიდან, მაგრამ ცნობები არ მოსულა, სჩანს იქ მდგომარეობა არ შეიცვლება, ვიდრე მოკავშირეთა კომისია არ ჩავა უნგრეთში და ადგილობრივ არ გაეცნობა იქ მომხდარ ამბებს. ამერიკის დელეგატებმა დღეს ის აზრი გამოსთქვეს, რომ რუმინელები დიდ შეცდომას სჩადიან მთელი ქვეყნის წინაშე.

ხმებია, რომ საზავო კონფერენცია საზაფხულოდ მუშაობის შეწყვეტას აპირებდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელები და ფრანგებიც ამას მხარს უჭერდენ, მათი აზრით მუშაობის შეწყვეტა შეუძლებელია სექტემბრის დასასრულამდე, როდესაც ყველა ხელშეკრულებანი დამთავრებული იქნება და ოსმალეთის საკითხიც მანამდე გადასწყდება. ეხლა კი საზავო კონფერენციას ბევრი საჩქარო სამუშაო აქვს. ოსმალეთის ამბები დიდ შიშს იწვევს. აქ ფიქრობენ, რომ თუ შეერთებული შტატები ძანდატს არ აიღებს, ოსმალეთში დიდი უწესოება იქნება მოსალოდნელი. როგორც ფიქრობენ, ოსმალეთის საკითხს ძალიან გაართულებს ის გარემოება, რომ ინგლისი, საფრანგეთი და იტალია სცდილობენ ტერიტორიები მიიღონ ახლო აღმოსავლეთში.

ამერიკის ჯარის წარმომადგენლები დღეს საზავო კონფერენციას შეეკითხენ, თუ როგორ მოექცნენ აქამდე ამერიკელების ხელში ყოფილ 4,800 ტყვე გერმანელს.

ცნობა მოვიდა, რომ გარდაიცვალა ცნობილი კომპოზიტორი ლეონ კვალო.

ლიონიდან იუწყებიან: ერცჰერცოგმა იოსებმა კლემანსოს თხოვნით მიმართა, აღიარონ მისი მთავრობა და ნება მისცენ წარმომადგენლები გაგზავნოს პარიზში. ამ საკითხის განხილვას უმაღლესი საბჭო ორშაბათს შეუდგება.

ერცჰერცოგი იოსები უნგრეთის ახალი მთავრობის რეგენტად აღიარეს. ის ამ თანამდებობაზე დარჩება ვიდრე საყოველთაო ხმის მიცემით (24 წ. მამაკაცების და ქალების მონაწილეობით) არჩეული ეროვნული ყრილობა არ შესდგება. ერცჰერცოგი ამბობს, რომ მისი ერთად ერთი სურვილი იყო, გაჭირვებულ ხანაში სახელმწიფოსთვის ეშველნა.

ᲓᲦᲔᲡ

პოლტავის მიმართულებით საბჭოთა ჯარმა უკან დაიხია. სამხრეთ დასავლეთის ფრონტზე სადგ. ზნამენკა დასტოვა. ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის ფრონტზე საბჭოთა ჯარი წინ მიიწევს.

პოლონეთის კაბინეტი სრული შემადგენლობით გადადგა. ფიქრობენ პარლამენტის შედგენას:

გერმანიაში გაფიცვები გრძელდება.

უნგრეთის მთავრობამ დამფუძნებელი კრების შეკრებამდე ქვეყნის მმართველად აღიარა ერცერჰოგი იოსები,

უნგრეთის მთავრობამ მიიღო რუმინელების მიერ წაყენებული დროებითი ზავის პირობები,

ᲑᲐᲚᲨᲔᲕᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

მოსკოვი. აგვისტოს 11. **კიევი.** აგვ. 10. **უკრაინის სამხედრო ცნობა.** საარნის მიმართულებით დრო გამოშვებითი სროლაა. დუბნოს მიმართულებით სოფ. მალაია ვოროვიცისთან პოლკ. ვისოცკის ბრბო დავამარცხეთ და უკან დავბიეთ. სტაროკონსტანტინოვკის მიმართულებით მტერი კონტრ-იერიშით უკან დავხიეთ. ჟმერინკას მიმართულებით მტერმა შემოგვიტია და დაიჭირა ზინკოვი.(?) **კიევი.** აგვ. 9. ლიტინის რაიონში მტერს გამოცოცხლება დაეტყო. დნესტრის ხაზზე სიწყნარეა. მალაეშტი და კრასნაია გორკა ბრბოებისაგან გავსწმინდეთ. ტეტერევის რაიონში ბრბოები დავამარცხეთ. პრილუკა და ტურბოვის რაიონში ბრბოები გავანადგურეთ პოტაშ იაროვატკა-ხრისტინოვკას რ. კ. ხაზი ბრბოებისაგან გაიწმინდა. ჩვენი ჯავშნიანი მატარებელი სოფელ მოლოდეცკოეს, სადაც თავი მოიყარა ბრბოებმა, უშინს **კიევი.** 10 აგვ. რაკოვსკიმ აჯანყებულ გლეხთა მიმართ მოწოდება გამოქვეყნდა, სადაც ნათქვამია, რომ დანაშაული ეპატიებათ, თუ ისინი 3 დღის განმავლობაში გამოცხადდებიან წითელ ჯარში და იარაღს ჩაბარებენ. ღარიბებს და საშუალო შეძლებულებს ეცხადებათ, რომ ომის დროს მიყენებული ზარალი ანაზღაურებული იქნება. **მოსკოვი.** აგვ. 11. სამხედრო ცნობა. **ჩრდილოეთის ფრონტი.** მეოგერნის რაიონში, პეტროზავოდსკის მიმართ ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ხელში ჩავიგდეთ ტყვიისმფრქვეველები, თოფები, ტყვიაწამალი, სურსათი და სხვა სამხედრო მასალა. ოლონეცის მიმართ. სანედერის ტბის გარშემო სოფლები დავიჭირეთ. **სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი.** ჟმერინკას რაიონში ვინნიცას სამხრეთ დასავლეთით სოფლები დავიჭირეთ. კრივოროგის რაიონში ბრძოლაა. ჩრ.დილოეთით მტერმა სად. ზნამენკა დაიჭირა. **სამხრეთის ფრონტი.** პოლტავის მიმართ. სადგ. გიგოლევო დავსტოვეთ. ახტრის მიმართ. ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა და ჩრდილოეთით 20 ვერსზე გავიდა. ჩვენ ნოვოხოპერსკი დავსტოვეთ. კაჭიშინის რაიონში ბრძოლა გრძელდება. **აღმოსავლეთის ფრონტი.** ურალსკის რაიონში ჩვენ ლბიჩენსკი დავიჭირეთ. ორენბურგის და სტერლიტომაკის რაიონში ჩვენი შეტევა გრძელდება. წამოვიყვანეთ 100 ტყვე. ვერხნეურალის რაიონში 60 ვერსის ხაზზე ბრძოლაა. ტიუმენის მიმართ. იალუტორფვესკის რკინის გზის ხაზზე ვუტევთ. **ლიონი** 11 აგვ. ერცჰერცოგ იოსების მთავრობამ მიიღო დროებითი ზავის პირობები, რომელიც რუმინიის სარდლობამ წარუდგინა. **ნაუენი.** 10 აგვ. ვენიდან მოსული ცნობით, ბუდაპეშტში ჰაეროპლანებიდან ჩამოყარეს პროკლამაციები, სადაც მოუწოდებენ მეფობის აღდგენას. **ნაუენი.** 11 აგვისტო. უნგრეთის ახალი მთავრობის წევრები პარასკევს საღამოს პირველად შეიკრიბენ. მინისტრთა საბჭომ დაადგინა ერცჰერცოგ იოსები აღიაროს უნგრეთის მმართველად დამფუძნებელ კრების არჩევნებამდე. შემდეგ მინისტრ-პრეზიდენტის თხოვნით რიკსტრატში, მოვიდა ერცჰერცოგი იოსები ფიცის მისაღებად. მინისტრი მას სიტყვით მიესალმა, რის შემდეგ მინისტრებმა ახალ მმართველს შეჰფიცეს. ერცჰერცოგმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა და სთხოვა მინისტრებს მხარი დაუჭირონ მას უნგრეთის აღდგენაში. **ლიონი.** აგვ. 11. რუმინიის მთავარი ბანაკის ცნობით, რუმინიის დივიზიამ უნგრეთის წითელ ჯარს იარაღი აყარა. რუმინიის ჯარი გადავიდა და ბუდაპეშტის მარჯვენა სანაპირო ნაწილი დაიჭირა. **ლიონი.** აგვ. 11 უნგრეთის მთავრობამ საზავო კონფერენციას წერილობითი თხოვნა გაუგზავნა, რომელშიაც სთხოვს აღიაროს მისი უფლება, აცნობს თავის მიზნის გამოთქმით, როგორც მანიფესტში, აცხადებს დამფუძნებელი კრების მოწვევას.

ბობრუისკი. აგვ. 10. „გაზეტა ვარშავსკაია“ იუწყება, რომ პოლონეთის კაბინეტი სრულის შემადგენლობით გადადგა. ფიქრობენ, შეადგინონ პარლამენტი. **მოსკოვი.** 11. გადატრიალების გამო უნგრეთში შეიარაღებული აჯანყებაა. რეაქციონერებმა ახალი გადატრიალება მოახდინეს, ისინი ერცჰერცოგს რუმინელებთან შეთანხმებაში და ღალატში ბრალს სდებენ. უნგრეთში პარტიზანულ ომს მოელიან, რომელშიაც უნგრეთის ჯარი გლეხებთან ერთათ იბრძოლებს. ინგლისის უმაღლესმა ტრიბუნალმა დაამტკიცა ყოფილ ბულგარეთის მეფის ფერდინანდის 4 მილიონ გირვანქა სტერლინგის კონფისკაცია. მეფე თავის კაპიტალს ინგლისის ბანკში ინახავდა.

კანადაში უწესოებაა. გაფიცვები მთელ მხარეს მოედო. ბალშევიზმი სწრაფად ვრცელდება შეერთებულ შტატებშიაც.

გერმანიაში გაფიცვები გრძელდება.

საფრანგეთის სოციალისტები ჰკიცხავენ მთავრობის მოქმედებას უნგრეთისა და რუსეთისადმი და მუშებს მოუწოდებენ, მხარი დაუჭირონ ინგლისის და იტალიის მუშებს და გაფიცვა გამოაცხადონ, თუ ინგლისის ჯარი დაუყოვნებლივ არ იქნება გამოყვანილი რუსეთიდან: „მზად იყავით, რომ პირველ დაძახებისათანავე რუსეთის და უნგრეთის რევოლიუციის დასაცავად გამოხვიდეთ. მთელი თქვენი ძალღონე რუსეთის საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ მიმართეთ“.

რუსეთის ბალშევიკები უთანხმდებიან აღმოსავლეთის მაჰმადიანებს, რომელნიც საბჭოთა მთავრობას თავისი დამოუკიდებლობის ერთად ერთ დამცველად სთვლიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ინგლისის იმპერიალიზმის მრავალ საუკუნეობრივ ბატონობას ბოლო ეღება.

ახლად დაპყრობილ ოლქებში დენიკინი მოღალატეებს არ ინდობს. ბურჟუაზიის მცხოვრებლებს ყველას ისე ექცევიან, როგორც ტყვეებს. სწარმოებს მობილიზაცია. ყველაფერზე არაჩვეულებრივად მაღალი ფასებია.

სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობებით, ავღმნელებმა მოქმედება დაიწყეს, ინგლისური გაზეთები არ მალავენ, რომ მდგომარეობა სერიოზულია და უჩივიან ცენზურას, რომელიც დაწვრილებით ცნობებს არ უშვებს. საშიშოდ მიაჩნიათ, რასაკვირველია, სარწმუნოებრივი ომი, რომელსაც მთელი სამაჰმადიანოს გაერთიანება შეუძლია. შესაძლებელია, რომ აზიის და აფრიკის მაჰმადიანები შეუერთდენ ომარს, რომელიც ხალიფატის უფლებებს მოითხოვს. გაზეთები შიშს გამოსთქვამენ იმის გამო, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობამ ავღაანის დამოუკიდებლობა სცნო. ჰენჯაბის მოძრაობა და ოსმალეთის და სპარსეთის აჯანყებები ბალშევიკური ხასიათისაა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ამიერ-კავკასიის კონფერენცია. გაზ. „აშხატავორი“-ს ცნობით, სომხეთის მთავრობას განზრახული აქვს მისცეს საქართველოს და ადერბეიჯანის მთავრობებს წინადადება, რათა ამიერ კავკასიის კონფერენციის შეწყვეტილი მუშაობის განახლება მოხდეს ბაქოში და არა თფილისში.

სომეხ-თათართა შეტაკება. სომხეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, სომხეთის ჯარი მეიუქვედის რაიონში გადავიდა შეტევაზე და დაიჭირა მნიშვნელოვანი მაღლობები.

დამფუძნებელ კრების დამატებითი არჩევნები. დამფუძნებელ კრების საარჩევნო ცენტრალურმა კომისიამ მიიღო დეპეშა ბორჩალოს მაზრის კომისიის წევრისაგან, რომლითაც იტყობინება, რომ წალკის ყველა სოფლებში არჩევნები ნორმალურათ მიმდინარეობს. მცხოვრებნი მსურვალე მონაწილეობას ღებულობენ არჩევნებში. პოლიტიკურ პარტიებიდან უფრო ენერგიულათ მუშაობენ სოც. დემ. და სოც. ფედ. მიღებული ცნობების თანახმად, ასევე ნორმალურათ სწარმოებს არჩევნები სხვა ადგილებშიაც.

საქციონერო საზოგადოებაში. საქციონერო-საკონვენციო დამზღვევ და სატრანსპორტო საზოგადოების წარმომადგენელთა თფილისის ბიურომ 29 ივლისის სხდომაზე დაადგინა გამორიცხოს ზემოხსენებულ ბიუროს შემადგენლობიდან კავკასიის დამზღვევი სატრანსპორტო საზოგადოება, ვინაიდან უკანასკნელის მოქმედება და მისი ოპერაციების ხასიათი ეწინააღმდეგება სატრანსპორტო საქმის ძირითად პრინციპებს.

თფილისის სამაზრო ერობა იწვევს ორ აგრონომ-ინსტრუქტორს.

პარტიული სკოლა. ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივი ამით მიმართავს ავლაბრის რაიონის მუშათა წრეებს და მათ წარმომადგენლებს, რათა 13 აგვისტოს, დღითი ოთხშაბათს, საღამოს 6 ს. გამოცხადდენ ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში, სადაც გაიხსნება პარტიული სკოლა და მუშებს საშუალება მიეცემათ სისტემატიურად გაეცნონ მარქსისტულ მოძღვრებას.

სახალხო აუდიტორია. თფილისის შრომის ბირჟა აწყობს სახალხო აუდიტორიას, სადაც სხვადასხვა ენებზე წაიკითხება ლექციები კვირაში 2—3-ჯერ პოლიტიკური და ეკონომიური საკითხების შესახებ.

მძარცველთა შეპყრობა. 9 აგვისტოს, თფილისის მაზრის, მანგლისის თემის უფროსის მოადგილემ ვალერიან კვაჭაძემ შეიპყრო წალკისკენ მიმავალნი ფოსტის მძარცველები: გ. ა. ღვინიაშვილი, ბენ. იბრ. იბრაგიმოვი, სოლომ. გილაური, ნ. თ. მუსერიძე და მიხ. სპირ. ქუთათელაძე, რომელნიც შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულების თანახმად 11 აგვისტოს საგანგებო რაზმმა ჩამოიყვანა თფილისში.

ვიპოვნე 9 აგვისტოს მტკვარში 12 წლის დამბრჩვალი ყმაწვილი. დამბრჩვალი დროებით დავასაფლავე. ცნობის მიღება ამის შესახებ შეიძლება შემდეგი მისამართით: სად. ნავთლული, კახ. რკინის გზა, სერგო ყიფიანი.

საბერძნეთის დიპლომატიურ წარმომადგენლად სომხეთში დაინიშნა ჟან სტავრიკასი.

ლუარსაბ ბოცვაძის ოჯახის სასარგებლოთ რედაქციამ მიიღო ქუთაისის მაზრის ერობის კურსების მსმენელ მასწავლებლებისაგან—200 მან.

ცეცხლი. 12 აგვისტოს, დილის 8 ნახ. საათზე სახალხო უნივერსიტეტში დიდი მთავრის ქუჩა, გაჩნდა ცეცხლი. ცეცხლის მქრობელ რაზმმა დროზე შესძლო მისი ჩაქრობა. ზარალი გამოურკვეველია.

ქურდობა. კათოლიკეთა ქუჩაზე მცხოვრებ თარხანოვმა განაცხადა მილიციაში, რომ მისი ბინიდან მოიპარეს სხვადასხვა ნივთები 30,000 მან. ღირებული. ეჭვით შეიპყრეს ჩხეტია, იზმაილოვი და ასკაირ ოღლი.

მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტზე გადასაცემათ რედაქციამ მიიღო ს. დიდგეზათში გამართულ წარმოდგენაზე შემოსული 500 მან.

ფრონტის სასარგებლოთ რედაქციამ მიიღო სოფ. სამების (გურია) მცხოვრებთაგან ალექსი წეროძის ხელით—814 მ. 35 კაპ. ს. შუხუთიდან (ლანჩხუთის საზ.) დ. იმნაიშკილისაგან—540 მან. და გიორგი ნიკურაძესაგან, ოლ. ბაქრაძის ხელით—60 მან.

ფოთის ნავთსადგურის მუშათა მრავალრიცხოვანმა მიტინგმა 12 აგვისტოს მოისმინა რა მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრის ვ ნოდიასი დამფუძნებელი კრების პირველი სესიის მუშაობის შესახებ, მიესალმება რევოლიუციის გვირგვინს დამფუძნებელ კრებას და მის მთავრობას და უსურვებს მათ კვლავ ნაყოფიერ მუშაობას მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ. მიტინგის თავმჯდომარე ს. გოგიბერიძე.

ახალქალაქიდან ჯანოიანცისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მივიღეთ: „გრძელდება ყველასაგან მივიწყებულ ხალხის სურსათის უქონლობის გამო განადგურება. თივა, რომელიც იყო მთავარი წყარო ხალხის შემოსავლის, უკვე მოთიბულია და იყიდება. ამ წლის მოსავალი გაახმო სიცხეებმა. სიკვდილის პირათ მყოფ მცხოვრებლებმა გაყიდეს ყოველივე, რაც კი გააჩნდათ და ეხლა დაიწყეს თათრების რაიონში მათხოვრობა. ყოველივე დაყოვნება მათთვის ორგანიზაციულ დახმარების აღმოჩენისა, უქადის მათ საბოლოო განადგურებას“.

სტუდენტთა საღამო. 25 აგვისტოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასადილოში გაიმართება ამავე უნივერსიტეტის სტუდენტთა სასარგებლოთ საღამო. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ლიტერატორები და მსახიობნი.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

— ნაძალადევის სამოქალაქო კომიტეტის პრეზიდუმი იწვევს ნაძალადევის ყველა მოქალაქეს და ამ უბნის მდგომარეობით დაინტერესებულთ ხუთშაბათს 14 აგვისტოს საღამოს 5 საათზე ნაძალადევის თეატრში.

ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ.

ᲐᲮᲐᲚ ᲡᲔᲜᲐᲙᲘᲨᲘ 1 სექტემბრიდან იხსნება სრულ უფლებიანი საოსტატო სემინარია; იხსნება I და II კლასი. მსურველები გამოგზავნიან თხოვნებს სენაკის გიმნაზიის დირექტორის სახელზე.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ქუთაისში ამ ჟამად მოქმედებს მასწავლებელთა ორგვარი კურსები: კურსები, რომელიც მოაწყო სამაზრო ერობამ თავისი ხარჯით სპეციალურათ სამაზრო ერობის დაბალ სკოლების მასწავლებელთათვის, რომელთა რიცხვი მაზრაში უდრის 320-ს და 2) მოსამზადებელი კურსები, მთავრობის მიერ მოწყობილი, სადაც თავს იყრიან ქუთაისის გუბერნიის ყველა მაზრიდან - გბოგზავნილნი ახალგაზრდები რიცხვით 120. ერობის მიერ მოწყობილ კურსების მიზანი არის შეავსოს და განავითაროს მასწავლებელთა ცოდნა სწავლა აღზრდის საქმეში თეორიულათ და პრაქტიკულათ თანამედროვე მეცნიერების მიხედვით. მთავრობის მიერ მოწყობილ კურსების მიზანიც იგივეა, (კურსებს ხელმძღვანელობს მთავრობის დავალებით ქუთაისის სამაზრო ერობა) და ეს კურსები გაგრძელდება მიმდინარე წლის სექტემბრამდე და მოამზადებს ს. ხ. სკოლის მასწავლებლებს. მასწავლებელთა რიცხვის ასე გადიდება გამოწვეულია მთავრობის დადგენილებით, ეხლავე შეუდგეს საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღებას რესპუბლიკაში და გახსნას ახალი სკოლები და კომპლექტები ამ მიზნის თანდათანობით დასამთავრებლათ.

მეცადინეობა კურსებზე ორგვარია—თეორიული და პრაქტიკული. თეორიული მუშაობა—ლექციები იკითხება შუადღემდის—ნაშუადღევს სწარმოებს პრაქტიკული მუშაობა. ამ მიზნისთვის მოწვეული ლექტორები კითხულობენ ლექციებს (პედაგოგიკა, ახალი მიმდინარეობა პედაგოგიკაში, ქართული ლიტერატურა—ისტორია, რუსული ლიტერატურა და უცხო, ბუნების მეტყველება სამშობლო გეოგრაფია, ფიზიკა—ქართულ ენის, არითმეტიკის, გეომეტრიის და სხვათა მეთოდიკები—ხატვა-ხაზვა, გალობა, შრომის შკოლა და დაბალ შკოლათა სისტემები უცხოეთში) ნაშუადღევს პრაქტიკული მუშაობაა. ამ მიზნისათვის ქუთაისის სამაზრო ერობამ მოაწყო თავისი საკუთარი სახელოსნოები—დურგლობის, ძერწვის, მეწაღეობის, სადაც მასწავლებლები სისტემატიურათ მუშაობენ გამოცდილ ხელმძღვანელების დახმარებით და წარმატებით ითვისებენ ყველა ჩამოთვლილ დარგის ხელობებს.

გარდა ამისა საღამოობით, შკოლაში, რომელიც სპეციალურად მოწყობილია ამ კურსებისთვის, ბაშვებთან სწარმოებს მეცადინეობა, ერობის გამოცდილი მასწავლებლები აძლევენ სანიმუშო გაკვეთილებს. ინსტრუქტორების და მეთოდიკების მასწავლებლის ხელმძღვანელობით, სწერენ კონსპექტებს და უსმენენ და თვითონაც სანიმუშო გაკვეთილებს აძლევენ—ახალგაზრდა მოსამზადებელი მასწავლებლები და მათი გაკვეთილები ირჩევა და ფასდება მათ საერთო კრებაზე ლექციის დროს. ერობის კურსები ამ დღეებში დამთავრდება—მთავრობის კი გაგრძელდება ენკენისთვემდის. უნდა აღვნიშნოთ, რომ კურსები საინტერესოა და მასწავლებლებიც ერთგულად ეპყრობიან თავიანთ საქმეს. მასწავლებელთათვის მზათ არის ბინები, ეძლევათ დილა-საღამოობით ჩაისთვის წყალი და ფულით დახმარება სასაზრდოოთ.

ამ ზაფხულზე ქუთაისის სამაზრო შკოლების მასწავლებლებმა მოაწყვეს თავისი პროფესიონალური კავშირი, ოათა მომავალში შეუერთდენ რესპუბლიკის კავშირთა კავშირს, და აირჩიეს გამგეობა და შეიმუშავეს გეგმა მომავალ მუშაობისთვის.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ფასების ზრდა სხვადასხვა ქვეყნებში.

ბერნის სტატისტიკურმა საზოგადოებამ გამოაქვეყნა მოხსენება ფასების გადიდებისა 1914—1918 წ. განმავლობაში. მოყვანილ ციფრებიდან აღმოჩნდა, რომ ეს ზრდა მეტად დიდი ყოფილა იტალიასა და საფრანგეთში (რუსეთი მიღებული არაა ანგარიშში). ფასები აწეულია იტალიაში 481 პროცენტით, საფრანგეთში 368 პროცენტით, შვეიცარიაში 257 პროც. ინგლისში 240 პროც. და შეერთებულ შტატებში 220 პროცენტით.

ესტონიის დელეგაცია პიშონთან.

16 ივლისს ესტონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა პოსკამ და ესტონიის საქმეების რწმუნებულმა პუსტამ ინახულეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პიშონი. ესტონიის დელეგატების კითხვაზე, შესახებ მდგომარეობისა საზავო კონფერენციაზე, პიშონმა უპასუხა, რომ კომისიამ ბალტიის საქმეთა შესახებ წარადგინა მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოში პროექტი დეკლარაციისა ესტონიის და ბალტიის სხვა ახალ სახელმწიფოების შესახებ. საბჭოს ჯერ არ განუხილავს ეს პროექტი. რაც შეეხება საფრანგეთის მთავრობას, ის ადასტურებს ყველა წინანდელ სიტყვებს, ომლებიც მისცა ესტონიის დელეგაციის თავმჯდომარეს და რომლებიც ადასტურებენ საბჭოს თავმჯდომარის სიტყვებსაც, რომ საფრანგეთის მთავრობა პრინციპიალურათ თანახმაა იცნოს ესტონიის დამოუკიდებლობა. ამასთანავე პიშონმა აღნიშნა, რომ მისი აზრით სხვა მოკავშირე ქვეყნებიც ამ შეხედულობისა არიან. საბოლოოთ ამ კითხვის გადაწყვეტა გაძნელებულია რუსეთის

გამოურკვეველ მდგომარეობის გამო, რომელიც ნებას არ აძლევს იმსჯელონ იმის შესახებ, თუ რა იქნება მომავალში რუსეთი, საკუთრივ ამ სიტყვის მნიშვნელობით. პიშონი ჰფიქრობს, რომ ოთხი მოკავშირე სახელმწიფოს მიერ ესტონიის ფაქტიური ცნობა, არის მისთვის გარანტია, მისთვის მკვიდრ მდგომარეობის შესაქმნელათ.

შინა-მრეწველოგის განყოფილება

უკვე სამჯერ თუ ოთხჯერ მივიღეთ გაფრთხილება, რომ მთავრობის გადაწყვეტილების ძალით, თელი სახელმწიფო ფულები უნდა ინახებოდეს სახელმწიფო ხაზინაში; ჩვენც სრული თანახმა ვართ ამ განკარგულებისა.

არიან ბევრი განყოფილებები, მაგ. ტყის გამგეობა, მისი ხარჯთ-აღრიცხვა მათ აკმაყოფილებს ჯამაგირით და გათვალისწინებული ხარჯებით და თუ ხე-ტყე გაიყიდა, გაყიდული ხე-ტყის საფასო უეჭველად ხაზინაში უნდა წარადგინონ, მაგრამ სულ სხვა მდგომარეობაში ვარდება ის დაწესებულებები, რომლებიც ეწევა კანცელიარული მიწერ მოწერის გარდა კომერციას, ანდა რომელიმე დარგში მუშაობას ეწევა. ასეთია შინა მრეწველობის განყოფილება და ასეთი განყოფილებები კიდეე მოინახება; შინა მრეწველობის თანხა რომ ყველა ხაზინაში შევიტანოთ, დიდათ შეგვეშლება ხელი.

შინა-მრეწველობის განყოფილება მუდამ დღე იძენს ნავთ-მაზუთს, ზეთს და ბევრ სხვა ნედლ მასალას,—მაგ., მატყლს აგრეთვე ყოველ დღე უხდება რამოდენიმე მომუშავე ქალებისთვის ხელ-ფასის მიცემა. ესე იგი, ყიდვა-გაყიდვა, ყოველ დღიური ოპერაცია. დღეს თუ შემოვიდა 100,000 მანეთი, დღესვე დაგვჭირდება 100,000 მანეთი მატყლის შესაძენად: „ობოროტნი“ კაპიტალი მუდამ საჭიროა განყოფილების კასაში.

შინა-მრეწველობის განყოფილებას არ შეუძლია იმუშავოს შემბოჭავ აღრიცხვის ფარგლებში, მაგ., დღეს კარგი დარი სდგას და ჩვენ უნდა გავრეცხოთ ასი ფუთი მატყლი, თუ ჩვენი ფაბრიკის მუშების ძალით გავრეცხეთ, ფაბრიკა გაგვიჩერდება და ზარალი მოგვივა. მაშ, განყოფილებას უნდა ჰქონდეს უფლება დღიურად კერძო მუშების დაქირავებისა, რაც ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებული არ არის. ამისთანა მაგალითები კომერციულ დარგში ბევრჯელ შეგვხდება.

შინა მრეწველობის განყოფილებაში მუშაობს დურგალი, რომელიც ხარჯთ-აღრიცხვაში არ შედის და რომელიც დიდათ საჭიროა. აკეთებს საფეიქრო მანქანებს და სხვა საგნებსაც. ყველა ამისთანა ხარჯებს დღემდე შინა-მრეწველობის განყოფილება ეწოდა მოსაგებიდგან. დღეს შინა-მრეწველობის განყოფილებას უფლება არ აქვს რაიმე ხარჯები გასწიოს, რომელიც ხარჯთ-აღრიცხვით არ არიან გათვალისწინებული.

გლეხს, რომელმაც პური მოიყვანა და მკის დრო მოვიდა, დავავალოთ, რომ უეჭველად თავის ძალით მომკას, არ ჰქონდეს მუშის დაქირავების ნება. ის მომკით უეჭველათ მომკის, მაგრამ ამასთანავე დიდ ზარალსაც ნახავს იმიტომ, რომ ნახევარზე მეტი ხორბალი დროზე მოუმკელობის გამო დაცვივა.

ერთი მაგალითი კიდევ. ჩვენ ვიყიდეთ 450 ფუთი მატყლი ახალგორში იმ პირობით, რომ მატყლის საფასოს თფილისში მოტანის და ჩაბარების მეორე დღეს ფულს მივსცემდით და უკეთუ არ მივსცემდით, ყოველ ზედმეტ დღეს 500 მ. უნდა გვეძლია ჯარიმა ფულის მიცემამდე, ეს იმიტომ, რომ როდესაც კერძო ვაჭრები ყიდულობენ მატყლს, ფულს იქვე აბარებენ და თავიანთი საქონელი მიაქვთ, ჩვენ იმ პირმა ხათრი დაგვდო და გვენდო, როგორც სახელმწიფო დაწესებულებას. მაგრამ დახეთ უბედურებას, მატყლი ჩავიბარეთ და ბანკებში გაფიცვები დაიწყო და ფული ვეღარ ვიშოვნეთ. ჩვენ ამის გამო დიდი ლანძღვა მივიღეთ.

განყოფილების კასაში თუ საჭირო სახარჯო ფულები არ იქნა, ნაყოფიერი მუშაობა ყოვლად შეუძლებელი იქნება. ზედმეტი ფულები, მოსაგები კი, განყოფილებამ უეჭველად უნდა შეიტანოს ხაზინაში.

ჩემი აზრით, განყოფილება უნდა მუშაობდეს ავტონომიურად. მაშინ შეუძლია კარგი ინიციატივა გამოიჩინოს და კერძო ინიციატივას აჯობებს, შებოჭვილი და დამხრჩვალი განყოფილება უეჭველად დაჭლექდება.

შეიძლება გვითხრან, ავტონომიურად მუშაობისთვის საიმედო პირები არ არიანო. მაშინ საჭიროა გაიწმინდოს ასეთი პირებისაგან განყოფილება ან და დანიშნულ იქნას ისეთი პირი, რომელსაც ესმოდეს კომერციული საქმეები და მრეწველობა და მთავრობის ნდობაც ჰქონდეს. ეს იქნება საქმის კარგ ნიადაგზე დაყენება და ქვეყანასაც სარგებლობას მოუტანს.

ინსტ. **ალ. ჟღენტი**

ფედერალისტ. აღვირწახსნილოგის პიდევ ერთი ნიმუში

ამას წინათ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ დუშეთის საქალაქო არჩევნებში ფედერალისტები არ ერიდებოდენ არავითარ საშუალებას, არავითარ პროვოკაციას, არც დამფუძნებელ კრების შეურაცხყოფას, არც მთავრობის ლანძღვა გინების, ოღონდ კი ხმები მოეკრიფათ და არჩევნებში გაემარჯვნათ.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ ასეთი გამოსვლები საქმე იყო ისეთი უპასუხისმგებლო ვაჟბატონების, როგორიც ბრძანდებიან მიქაბერიძეები და მათი ამყოლ-დამყოლნი, გახრწნილების ჭაობში ჩაფლულნი, წვრილ-ფეხა ინტელიგენცია, მაგრამ თუ პარტიაში ოდნავ წარსულის მქონე და ცნობილი მოღვაწეები ასეთ საზიზღარ საშუალებებს მიმართავდენ, ეს არ გვეგონა.

3 აგვისტოს სოფ. ყაზბეგში სოც.-ფედ პარტიის წარმომადგენელმა ბ-მა გრ. ლაღიძემ მოიწვია მიტინგი, სადაც უნდა გაეკეთებია მოხსენება შემდეგ თემაზე: „ხევის საჭიროებანი და დამფუძნებელი კრების არჩევნები“. თემა თემად დარჩა და ბ-ნ ლაღიძეს კრინტიც არ დაუძრავს არც ხევის საჭიროებაზე, არც დამფ. კრების არჩევნებზე. მან ილაპარაკა მხოლოდ ჩვენს მთავრობაზე და მის მოქმედებაზე და ისეთი უშვერი სიტყვებით და ლანძღვა-გინებით გაუძასპინძლდა მას, რომ ქუჩის უბრალო მოლაყბეც კი ამას არ იკადრებდა.

„მთავრობას დღემდე არაფერი გაუკეთებია, —ბრძანა ლაღიძემ: მან შესჭამა მთელი საქართველო, მან ააწიოკა და გაანადგურა სოფლები, ქუთაისის მაზრაში ოთხასი კაცი გაამათრახა, 60 დასჭრა, 10 ქალი გააუპატიურა... მთავრობამ, თუმცა ამის საშუალება ჰქონდა, არც კი დაიპყრო კავკავი, რომ მშიერი ხალხი, განსაკუთრებით მოხევეები დაეკმაყოფილებია... ასეთ მთავრობას ჩვენ ნდობას ვერ გამოვუცხადებთ, ის არ არის ჩვენი ნდობის ღირსი“ და სხვა ამგვარი მარგალიტები. აი, ასეთი სიტყვებით გამობრძანდა სოც.-ფედ. პარტიის წარმომადგენელი საჯარო კრებაზე, და ცხადია, თვით დენიკინიც კი, ეს სიტყვები რომ გაეგონა, აღტაცებით დაუკრავდა ტაშს ბ-ნ ლაღიძეს. მართალია, ჩვენმა ამხანაგებმა შესაფერი პასუხი გასცეს ამ ვაჟბატონს, მაგრამ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეს ითქვა საქართველოს საზღვარზე, ეს ითქვა ყაზბეგში, საიდანაც რამდენიმე ვერსის მოშორებით ფრიალებს დენიკინის შავი დროშა, სადაც ყველაზე მეტად საჭიროა მთავრობის ავტორიტეტის განმტკიცება, მისი ზურგის გამაგრება...

ჩვენ ვიცით, რომ ამ ბოლო დროს ფედერალისტები შემოდგომის ბუზებივით იკბინებიან, ჩვენ ვიცით, რომ ხმების მოგროვების მიზნით დაბრმავებულებმა, დაჰკარგეს ყოველივე გონიერება, არ ერიდებიან არავითარ ზომას, ჩვენ ვიცით, რომ ბ-ნ ლაღიძეს დიდი სურვილი აქვს წამოსკუპდეს დამფუძნებელ კრების სავარძელზე, მაგრამ ნუ თუ ასე დაეცა, დაკნინდა ფედერალისტების პარტია, რომ ასეთი საზიზღარი პროვოკაციით მიტინგებზე გამოსვლას თავის თავს ნებას აძლევენ?..

სად არის გრძნობა მოქალაქეობრიობისა, სად არის ის მამულიშვილობა, რომელზედაც ასე ცხარეთ გაჰკიოდენ ფედე—ბი? ნუ თუ ამაში გამოიხატება ფედერალისტების ოპოზიცია?! საბრალონი! მართლაც რომ წყალწაღებულებივით ხავსს ეჭიდებიან...

ბ-ნ ლაღიძეს უნდოდა მოენადირებია მოხევეების გული, როცა კავკავის აღებაზე დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მოხევეები მუდამ თავგანწირული დამცველნი ყოფილან თავის სამშობლოსი და მათ პურით ვერავინ მოისყიდის, ასეთი დემაგოგიით მათ ვერავინ მოიტყუებს, მათ იციან ფასი თქვენი გამოსვლისა, ბ-ნო ლაღიძევ, და აკი შესაფერი პასუხიც მიიღეთ. როცა მეორეჯელ მოინდომა ლაპარაკი ბ-მა ლაღიძემ, პროვოკაციით მოთმინებიდან გამოსულმა და აღელვებულმა ხალხმა მას ნება არ მისცა ლაპარაკისა, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენმა ამხანაგებმა თხოვნით მიმართეს ხალხს მიეცათ ლაღიძისთვის ლაპარაკის ნება.

ასეთი სამარცხვინო მარცხი მოუვიდა ბ-ნ ლაღიძეს და ასე მოუვა ყველა იმათ, ვინც ბოროტათ სარგებლობს სიტყვის თავისუფლებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფედერალისტების მიერ დაყენებული თავმჯდომარე ვინმე პავლე შადური, მთვრალი და გალეშილი, თითონ არღვევდა წესრიგს და ხელს უშლიდა ჩვენს ამხანაგებს ლაპარაკის დროს და არავითარი შენიშვნა არ მიუცია ბ-ნ ლაღიძისათვის, როცა ეს უკანასკნელი მთავრობას შეეხო.

ჩვენ ვიცით, რომ ახლა „სახალხო საქმე“ მეთაურს მეთაურზე გამოაცხობს სოც.-დემ. ძალადობაზე ბ-ნ ლაღიძის შელახულ თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლათ, როგორც ეს მოიმოქმედა ბ-ნ მიქაბერიძეზე, რომელიც გუდა-ნაბად აკრული დუშეთიდან გამოისტუმრეს; ასტეხენ ერთ განგაშს და ჭორებს ჭორებზე შესთხზავენ, მაგრამ „სახალხო“-ს აბა მეტი რა საქმე აქვს, იქნებ როგორმე გული მაინც მოიფხანოს...

„სახალხოს“ მეთაურებში მოხსენებულ ადმინისტრაციის ჩარევაზე და ძალადობაზე დუშეთის საქალაქო არჩევნებში კიდევ ერთხელ და უკანასკნელათ უნდა განვაცხადო, რომ ყველაფერი ეს თავიდან ბოლომდე მტკნარი სიცრუეა. ინებეთ და დაამტკიცეთ წინაადმდეგი. რაც შეეხება ვინაჭ „მანის“ და სხვების ჭორების და ლანძღვა-გინებით სავსე წერილებს, ამ მოვარჯიშე კალმოსნებს უნდა მოვახსენო, რომ მათ ლაზღანდარობაზე და ლანძღვაზე პასუხის მისაცემად ჩვენ არ გვცალიან.

უნინი.

ჯარის რეორგანიზაციის გამო

იმ დროს, როდესაც ჩვენი სამშობლო განმტკიცების გზას ადგია, მისი დამოუკიდებლობის აღიარება ცოტა ხნის საკითხია, როდესაც დემოკრატია სათავეში ჩაუდგა საქართველოს მოწყობა მოწესრიგებას,—არ შეიძლება არ აღინიშნოს ის უსამართლობა (მეტი რომ არ ვსთქვათ), რასაც ადგილი აქვს ჩვენს ახალ დემოკრატიულ ჯარის რეორგანიზაცია—მოწყობის საქმეში. არას ვამბობთ იმაზე, თუ რა ბოროტ-მოქმედებას ჰქონდა ალაგი ჯარის ზოგიერთ ნაწილებში, რაც მთავრობის რევიზიამ დაგვანახვა,—და ოფიცრების ერთი ნაწილი აქტიურათ თუ არა, პასიურათ, გულ-ახდილათ თუ არა, ვულში მაინც ყოველთვის ელოდენ ძველი რეჟიმის აღდგენას და დენიკინელების მოახლოვება მათ ფრთას ასხამდა. მაგრამ დღეს, როცა რეორგანიზაცია მოხდა—როგორი არის ახალი ჯარის ოფიცერთა შემადგენლობა? ვინ მოხვდა შიგ და ვინ დარჩა უადგილოთ შტატს გარეშე? სხვადასხვა მიზეზების გამო შეუძლებელია ყოველივეს აღნიშვნა, ამიტომ რამდენიმე ფაქტს მოვიყვან.

სამსახურში რჩება აფიცერი, რომელსაც კარგათ იცნობენ გორში, მისი სამშობლოს წინააღმდეგ მოღალატურ გამოსვლებით, ჯარისკაცებში აგიტაციის გაწევით მთავრობის წინააღმდეგ, ფულების გაფლანგვით, რისთვისაც ეს ვაჟბატონი გორის რევოლუციონურ ტრიბუნალში იყო მიცემული გასასამართებლად. ეს, სხვათა შორის, კარგათ მოეხსენება დამფუძნებელ კრების წევრს დ. ონიაშვილსაც.

სამსახურში რჩება მეორე აფიცერი, რომლის შესახებ ერთ-ერთ გაზეთში პირდაპირი ბრალდება იყო წამოყენებული, რომ როტა გაძარცვა და მისი ჯარისკაცები ერთ დროს ფაქტებით ხელში აკაკუნებდნენ რედაქციის კარებს, მაგრამ... მაგრამ სიძე თუ ბიძა, ან სხვა ნათესავი მფარველათ მოევლინა და... ახალ ჯარში ახალ ქურქში გამოჩნდა.

მესამე: ყოფილი რუსთა კავშირის წევრი, მაზრის უფროსი, რომელმაც ხალხის დასამშვიდებლათ „როზგი“ შემოიღო—დიდ თანამდებობაზე დასტოვეს.

მეოთხე: გორის მაზრაში კარგათ ცნობილი ძველი პარტიული მუშაკი, ყოფილი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, საქმის მცოდნე, მუყაითი ოფიცერი შტატს გარეშე რჩება.

აგერ ძველი რეჟიმის მსხვერპლი, ძველი ოფიცერი, კატორღა-ციმბირში გამოვლილი შტატს გარეთ რჩება.

მეხუთე. მაგრამ... კმარა, რამდენი დემოკრატი, სამშობლოს ერთგული დამცველი, საქმის მცოდნე აფიცრები დარჩენ შტატს გარეშე, უადგილოთ!

საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს და კვლავ გადაისინჯოს.

ძველი მებრძოლი,

რკინის გზაზე

ტყიბულის გზაზე.

ტყიბულის გზაზე სადგურები ისეა დანაწილებული, რომ სრულებით ვერ სარგებლობს ამ გზით ხალხის უმრავლესობა. მაგალითად, სადგური გელათი, რომელიც სრულიად უმნიშვნელო ადგილზე არის გაშენებული, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მონასტერს, საცა ორიოდე ღვთის მავედრებელისათვის თუ ეჭნება მნიშვნელობა, როგორც მოწამეთაში, რომელსაც უბრალო მატარებლის გასაჩერებელი ბაქანიც კი აკმაყოფილებს. ეს სადგური ძლიერ ახლო ახლავს ქუთაისს. გარდა ამისა ის საზოგადოებანი ნაკლებ ეტანებიან ამ სადგურს, მხოლოდ ამ სადგურში (მთა-გორიანი მდებარეობა და ზოგობა უშლის ხელს ბრეხილზე მივიდეს საქონლით) ძრიელ შორს არიან ათი-თხუმეტ ვერსამდე და ამიტომ ეს სადგური ამ საზოგადოებისათვის, როგორიც არიან, სოჩხეთი მანდიკორი, გურნა წყნორი, ნაწილი ზარათისა და რიონისა და დიდი ნაწილი კურსებისა, ამ სადგურს თითქმის იმდენად მოწყვეტილნი არიან, რომ მათ არ შეუძლიათ ამ სადგურით ისარგებლონ არამც თუ საქონლის გადაზიდვა-გადმოზიდვით, არამედ მოგზაურობის დროსაც კი. რამოდენიმე ათასი კომლი ამ საზოგადოებისა იძულებულია ან უარი სთქვან რკინის გზით სარგებლობაზე ან და ეს მოთხოვნილება დაიკმაყოფილონ ბაქანი კურსებით საცა კვირაობით და პარასკეობით არა ნაკლებ სამასამდე კაცი სხდება მატარებელზე. ეს ხალხი მოდიოდა და ახლაც მოდის ამ ბაქანზე ბარგი-ბარხანით, სხვა გზა მათ არა აქვთ. წინეთ მათ არ უშლიდნენ მატარებელში შესვლას ხაბაკით, ეხლა კი უშლიან. მოგეხსენებათ, რომ ოკრიბაში მწირი, მოუსავლიანი მიწებია და იქაური გლეხები გაჭირვების გამოისობით იძულებულია რაიმე გამოძებნოს გასასყიდი, ქუთაისში პარასკეობით და კვირა უქმედღეობით. და ამ ხალხის შევიწროვება იმით, რომ ძველ მთავრობას სადგური იქ არ გაუკეთებია, საცა ხალხისათვის უკეთესი იქნებოდა და ამიტომ ხალხს ნება არ მივსცეთ მატარებელში ხაბაკი შეიტანოს, რომელიც ბუთზე მეტი ვერსი ზურგით უტარებია, ეს პირდაპირ მიუტევებელი დანაშაული იქნებოდა. მე არ ვამბობ, რომ ხაბაკი უფასოთ გადიზიდოს. ადგილობ. ადმინისტრაციას, როგორც საქმის ახლო მცნობს, ხალხის მოთხოვნილება კანონიერად უცვნია, განკარგულება მოუხდენია ხაბაკი შეეტანათ მატარებელში, ხოლო სადგურ გელათს კი ეს ხაბაკი ბაგიათ უნდა მიეღო, რითაც ხალხიც დაკმაყოფილდებოდა და გზაც არ ნახავდა ზარალს რამოდენიმე მგზავრის მიტოვებით ბაქანზე თავის ხაბაკებით. კურსების ბაქანის არსებობა მხოლოდ მიტომ, რომ იქ ხალხს დაანახვონ მატარებლის გაჩერება და შიგ შესვლის საშუალება კი მოუსპონ, ეს არამც თუ დასაშვები არ არის, ეს პირდაპირ დაცინვაა, რასაც არ შეიძლება ექნეს ადგილი ჩვენს რესპუბლიკაში. ჩვენი მთავრობა ხალხის მთავრობაა და როგორც ასეთი, ის ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნავს, მის ჭირ-ვარამს ინაწილებს, მის ინტერესებს იცავს. მაგრამ თუ კი მისი ხელქვეითი ორგანოები მთავრობის ნება-სურვილებს უკუღმა შეატრიალებენ და ცხოვრებაში სულ წინააღმდეგს გაატარებენ, რა თქმა უნდა, გლეხები გაუგებრობის ნიადაგზე მთავრობის წინააღმდეგი იქნებიან. ეს დაუშვებელია. უნდა ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო მთავრობასა და ხალხს შუა სიძულვილის მთესავ პოლიტიკას. წინეთ ხალხს აღელვებდნენ მიწის საკითხის რეფორმის დამახინჯებით, ეხლა რკინის გზაზე მიმოსვლის ზედმეტ შევიწროვებით. ამას უნდა მიექცეს მთავრობის ყურადღება. ამ საგანზე მე მქონდა მოლაპარაკება რკინის გზის ეპარტამენტის უფროსთან, რომელიც შემპირდა სათანადო ზომების მიღებას. სრული იმედიცა მაქვს, რომ ის ამას მიაქცევს ჯეროვან ყურადღებას. საჭიროა კურსების ბაქანის სადგურად გადაკეთება ახლო მომავალში, მანამდის კი საჭიროა სათანადო განკარგულება, რომ ხალხის ინტერესები სათანადოთ დაცული იყოს.

ლავრენტი კუპრაშვილი.

მუშათა შოკრის

ბოკრი. „ერთობის“ № 167-ში მოთავსებულია ცნობა სატარიფო პალატის 24 ივლისის მორიგი სხდომისა. ეს სხდომა სატარიფო პალატას მოუნდომებია სხვადასხვა დარგის მუშათა პროფ. კავშირის ხელფასის განხილვა დამტკიცებისათვის. პირველ რიგში განუხილავთ ფარმაცევტთა ტარიფი და დაუდგენიათ—აფთიაქში მოსამსახურეებს, გარდა პროვიზორებისა, დაენიშნოთ მომატება 10 პროც. —25 პროც. პროვიზორებს კი, რომლებიც აფთიაქს არ განაგებენ, დაენიშნოთ 35 პროც. მომატებაო. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ ფარმაცევტები დიდის იმედით და ნდობით შევყურებთ მუშათა კავშირების წარმომადგენლების მიერ შემდგარ ორგანოს, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის შეცდომები, რომელიც დაუშვა სატარიფო პალატამ ფარმაცევტთა ტარიფის გამომუშავებაში. ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია ის პროპორცია მომატებისა, რომელიც პალატას მიუღია, ე. ი., როდესაც აფთიაქეაში სხვა მომუშავეებს 10

პროც.—25 პროც. ემატება, პროვიზორებს ემატება 35 პროც.

ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ცხოვრება ყველასათვის ერთნაირად გაძვირდა და თუ ცხოვრების გაძვირებიდან გამოვდივართ, ყოველად შეუწყნარებლად და დაუშვებლად მიგვაჩნია ის, ვინც მეტს ღებულობს, მეტი მოემატოს. ხოლო იმას, ვინც ნაკლებს—ნაკლები; დემოკრატიული პრინციპებისდა მიხედვით ასეთი პროპორცია დაუშვებელია, რადგანაც პროვიზორს, რომელიც თვიურად 1600 მანეთს იღებს, საერთო მომატება გამოუდის 560 მან., როდესაც აფთიაქის მოწაფეს სამი წლის პრაქტიკით 1150 მანეთზე 25 პროც. მომატებიდან 237—50 გამოუდის. ჩვენ კი ფარმაცევტებს ასეთი წესი გვაქვს შემუშავებული, რომ ვინც ნაკლებს ღებულობს, მეტი პროცენტი მოემატოს, ან და სულ ყველას თანაბრად მოემატოს. დაბოლოს, ჩვენ გორში მომუშავე ფარმაცევტებს დაუშვებლად მიგვაჩნია 10 პროც.—25 პროც. მომატება და მოვითხოვთ, მოემატოს აფთიაქში მოსამსახურეთ ხელფასი იმის და მიხედვით, თუ რამდენად გაძვირდა ცხოვრება უკანასკნელ ხელფასის მომატების შემდეგ, ე. ი. 15 მაოტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში მოვითხოვთ პირველ აუცილებელ საჭიროების საგნებით უზრუნველყოფას და უარს ვამბობთ ყოველივე მომატებაზე. **მოსამსახურე.**

Გ. ᲤᲝᲗᲘ. 2 აგვისტოს შესდგა ფოთის ხე-ტყის ქარხნების კავშირის საერთო კრება. დღის წესრიგში იყო: 1) მოხსენება გამგეობისა, 2) მოხსენება ცენტრალური საბჭოსი, 3) სუოსათის საკითხი, 4) რეორგანიზაცია გამგეობისა და საოეკონომიო კომისიისა. გამგეობის მოხსენება კრებამ მიიღო სავსებით. ცენტრალური საბჭოს დავალებით მოხსენება გააკეთა ამხ. გ. ჩიტაიამ, სახალხო გვარდიელების რეზერვის შედგენის შესახებ, რაზედაც კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: აირჩიოს სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც მიანდოს საიმედო პირებისაგან სიის შედგენა, რომელიც კომისიამ უნდა გადასცეს გამგეობას. შემდეგ ამხ. გ. ჩიტაია შეეხო დღევანდელ ვითარებას. სურსათის შესახებ კრებამ დაავალა დ. გუბელაძეს, როგორც გამგეობის თავმჯდომარეს, მიიღოს ზომები რამდენადაც შესაძლებელია და შეიძინოს სანოვაგე.

გამგეობის რეორგანიზაცია კრებამ არ ისურვა და დაავალა ძველ გამგეობას დარჩეს თავის ალაგას. კრებამ სარევიზიო კომისიაც ძველი დასტოვა. საგულისხმოა მწარმოებლების მოქმედება: ცხრა ივნისს მიღებული გადადუღებული წყალის მოტანა ჯერაც არ არის სისრულეში მოყვანილი, მიუხედავათ გამგეობის მიერ მიღებული ზომებისა. უხეოების გამო ორი ქარხანა შეჩერებულია, რომლის მუშები მომუშავე ქარხანებს აფარებენ თავს, რის გამო ისინი მეტის-მეტ გაჭირვებას განიცდიან. ძივმართეთ ნავსადგურის კავშირს, რომ დროებით ხუთ უმუშევარ ამხანაგისთვის მიეცათ სამუშაოები, მაგრამ ჯერ პასუხი არ მიგვიღია. საერთოდ მუშებში კარგი განწყობილება არის. არავითარ კინკლაობას ალაგი არ ჰქონია და იმედია არც მომავალში ექნება. **ხ. ხაფთასი.**

ს.-დ. პარტიაში

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ. 24 ივლისს შესდგა მეშვიდე რაიონულ კოლექტივის წევრთა კრება.

თფილისის კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ევტ. ლორია. კრებამ მოხსენება ერთხმად მიიღო. პარტიული მუშაობის შესახებ კრებამ დაადგინა, რომ ყველა ჩვენ რაიონში არსებულ ქვე-კოლექტივებმა აცნობონ კოლექტივს ყოველივე ცნობა პარტიულ მუშაობის შესახებ. ფროლეტის დღის მოსწყობ კომისიებისაგან ანგარიშების ჩასაბარებლად კრებამ ამოირჩია სამი კაცისაგან შემდგარი სარევიზიო კომისია, რომლებმაც უნდა გააცნონ კოლექტივს ყოველივე შემოსავალი 19—20 ივლისისა. სარევიზიო კომისიაში შედიან: შუბლაძე, რაზმაძე, ხერხეულიძე.

31 ივლისს შესდგა ამავე კოლექტივის წევრთა კრება. თფილისის კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. კვერნაძე. მომხსენებელი კითხულობს ინსტრუქციას და აცნობს კრებას, რომ ყველა ს. ს. დ. მ. პ. ორგანიზაციებს ნება აქვთ ზოგიერთ მუხლებში შეიტანოს შესწორება, ან მთლად დაამტკიცონ. კრებამ ამის შესახებ იქონია მსჯელობა და დაადგინა: იქმეს 3 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელებიც გადაათვალიერებენ ინსტრუქციას და თავის მოსაზრებას გაპროტანებენ კრებაზე და კრება ან დაამტკიცებს და ან უარყოფს. კულტურული მუშაობა კრებამ გადავიდა ისევ იმ ამხანაგებს, რომლებსაც ჰქონდათ მინდობილი. ამასთანავე კრებამ გააჩია სხვა კითხვები.

3 აგვისტოს შესდგა ამავე კოლექტივის წევრთა კრება.

თფილისის კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ევტ. ლორია. კრებამ მოხსენება ერთხმად მიიღო. კომისიისაგან მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. მესხიშვილი და კითხულობს ოქმებს მოწმეებისაგან. კრებამ დაადასტურა კომისიის დადგენილება პ. ბოკერიაზე: მე 17-ტე მუხლის ძალით პ. ბოკერია იქნეს გამორიცხული პარტიიდან მანდატის ჩამორთმევით და მიეცეს სრული უფლება გასაჩივრებისა და თავის გამართლებისა, თუ საბუთები აქვს.

მდივანი **ელ. ᲨᲐᲠᲐᲨᲔᲜᲘᲫᲔ.**

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ. 2 აგვისტოს თფ. საქ. სადგურში შესდგა ს.-დ. მუშების და მოსამსახურეების შეერთებული კრება. დამფუძნებელი კრების წევრი ამხ. გ. დ. ცინცაბაძე ეხება დღევანდელ მდგომარეობას. მოხსენების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „თფილისის საქ. სად. ს.-დ. ორგანიზაციის შეერთებულმა კრებამ მოისმინა რა მოხსენება დამფუძნებელი კრების მოქმედების შესახებ, ფიცს სდებს, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ და მხარს დავუჭერთ დამფუძნებელ კრებას. მასთან ყოველ ღონეს და ენერგიას გამოვიჩენთ პარტიის ყოველი წევრი ახალი და ნორჩი თავისუფლების და წესწყობილების გასამტკიცებლათ.

ს. ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲜᲔᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲕᲐᲚᲕᲔᲠᲘ. 31 ივლისს შესდგა ს. ს. დ. მ. პარტიული ორგანიზაციის კრება. 1) კითხვად იყო ახალი წევრების მიღება, 2) მიმდინარე მომენტი და სხვ. ორგანიზაციამ მიიღო და დაამტკიცა სამი ახალი წევრები, მიმდინარე მომენტზე მოხსენებას აკეთებს ამხ. კ. შახნაზაროვი. კრება ღებულობს მოხსენებას. **კ. ᲓᲘᲜᲯᲐᲫᲔ.**

ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ

მარტვილის გიმნაზიის გარშემო.

1917 წ. ნაოლალევში დაარსდა ახალი ტიპის ოთხკლასიანი გიმნაზია. ამ რაიონში დიდი საჭიროება იყო საშუალო სასწავლებლის და ამიტომაც გიმნაზიის დაარსებამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მთელს რაიონში. უკანასკნელ ხანებში კი კერძო წყაროებიდან გავიგეთ, რომ მარტვილის გიმნაზია სახელმწიფო ხარჯზე არ მიუღია ქთავრობას და უნდა დაიხუროსო. ჩვენ არ ვიცით რამდენათ შეეფერება სიმართლეს ეს ცნობა, მხოლოდ ერთი კი აშკარაა: გიმნაზია თავისი ადმინისტრაციის წყალობით (გვიან წარმოუდგინეს სამინისტროს შუამდგომლობა) ვერ მოხდა სახელმწიფო სასწავლებელთა რიცხვში. ჩვენ გვსურს ვისიც ჯერ არს იმათ ყურამდე მივაწვდინოთ ზოგიერთი ცნობები ხსენებული გიმნაზიის შესახებ, სანამ მისი ბედი საბოლოოდ არ გადაწყვეტილა.

მარტვილს უგიმნაზიოთ არ შეუძლია ყოფნა და აი რატომ: მარტვილის გიმნაზიით სარგებლობს შვიდი საზოგადოება: სალხინოს (ხონის გიმნაზიას დაშორებულია 45 ვერსით), კაწიასი (ხონიდან 50 ვერს) თამაკონის (ხონიდან 40 ვერსხეა) ნახუნოუს, ნაგვაზოვოს და მარტვილის, რომელნიც დაშორებულნი არიან ხონიდან 20—15 და 12 ვერსით. მეორე მახლობელი გიმნაზია არის სენაკში, რომელიც გაცილებით დაშორებულია მარტვილის რაიონიდან. გარდა ზემოთ ნაჩვენებ მანძილისა, მიღებულ უნდა იქნას მხედველობაში ის გარემოება, რომ ხონს და მარტვილის შუა მიმდინარეობს ცხენის წყალი, რომელზედაც არსად ხიდი არ არის გაკეთებული და მიმოსვლას ძლიერ აფერხებს.

ოაც შეეხება გიმნაზიის საჭიროებას, ამას მტკიცებაც აღარ უნდა: მარტვილის რაიონში ამ ჟამათ არსებობს სამი უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი. ერთი მათგანი არსებობს შიგ მარტვილში. მარტვილის უმაღლესი დაწყებითი სასწავლებელი 8 წელია რაც არსებობს და საქმეც კარგათ არის დაყენებული: თითეულ კლასთან არსებობს პარალელური კლასები. მოწაფეთა რიცხვი ამ ჟამათ სამასზე მეტია (მარტო მარტვილში). ყველა მათ უმაღ. დაწ. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ საშუალება მოეპოვებათ სწავლის გაგრძელებისა, თუ მარტვილში არ იქნა გიმნაზია. თვით გიმნაზიაში ამ ჟამათ მხოლოდ ორი კლასია, მოწაფეთა რიცხვი კი სამოცზე მეტია. ამ გიმნაზიის დახეოვა ბევრ ახალგაზდას მოუსპობდა სწავლის განგრძობის საშუალებას.

მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მარტვილის რაიონი ძლიერ მწირი ადგილია, მცხოვრებნი ღარიბნი არიან და სხვაგან შვილის წაყვანა სასწავლებლათ არ შეუძლიანთ. დასკვნა: მარტვილის რაიონი ძლიერ დაშორებულია სხვა გიმნაზიებიდან (ხონი და სენაკი), რაიონში უმაღლეს დაწყ. სასწავლებელთა და საგიმნაზიო ასაკის მოწაფეთა რიცხვი მეერმეტყველურათ ადასტურებს აქ გიმნაზიის აუცილებლობას. მარტვილის რაიონი ეკონომიურათ და კულტურულათ ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენს. მცხოვრებთა სიღარიბე, და სხ. აუცილებლათ მოითხოვს მარტვილში გიმნაზიის არსებობას. იმედია ყველა ამ ცნობებს შესაფერისათ დააფასებს განათლების სამინისტრო და პირველ შესაძლებლობისთანავე აღძრავს შუამდგომლობას დამფუძ. კრების წინაშე მარტვილის გიმნაზიის სახელმწიფო ხარჯზე ჩარიცხვის შესახებ. **აკ. ᲡᲘᲒᲣᲐ.**

ᲡᲝᲤ. ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ. 3 აგვისტოს აქ შესდგა დიდი მიტინგი. ეს დღე ფრონტის დღეთ იყო გამოცხადებული, მაგრამ ზოგიერთი ტეხნიკური მიზეზების გამო ის გადადებულ იქნა და ბევრმა კი ეს არ იცოდა, ამიტომ მოაწყდა ხალხი ეკლესიის გალავანს. ფედერალისტებიდან ილაპარაკა გრ. ლაღიძემ.

ამხ. ჭონიშვილის, ურუშაძის და წივწივაძის მოსვლისას ხალხმა ლაღიძეს შესძახა:

...„ძირს“, „არ გვინდა“!—„გაუმარჯოს სოციალ დემოკრატიას, გაუმარჯოს მესამე ნომერს, ძირს ფედერალისტებიო“!

დამსწრე პირებმა მოითხოვეს გრიგოლ ლაღიძეზე შედგენილიყო ოქმი და პასუხისგებაში მიცემულიყო იმ ცილისწამებისთვის, რაიც მან დაუშვა მიტინგზე მთავრობის მიმართ, სახელდობრ: „მთავრობამ შესჭამა მთელი საქართველო, ვერ შექმნა ვერც ჯარი, ვერც ადმინისტრაცია მილიცია. მისი,—მთავრობის ვანკარგულებით, ქუთაისის გუბერნიაში ერთი ყაჩაღის გულისთვის გაამათრახეს 400 კაცი, გააუპატიურეს 10 ქალი და დახოცეს 40 ადამიანი. არაა მთავრობა ჩვენი ნდობის ღირსი, მას ნდობა არავინ არ უნდა გამოუცხადოს“! ყაზბეგი ეს მეორე სიმაგრე იყო ფედერალისტების, დუშეთის შემდეგ, რომელიც ამ დღეს დაეცა. **№.**

Ს. ᲑᲘᲝᲠᲒᲘᲕᲘᲜᲯᲘ. (კახეთი) მოსავალმა იმედი გაგვიცრუა. თვალათ სავსე, ზღვასავით მღელვარე ყანები მოიმკო, მაგრამ დახე უბედურებას, ბევრმა მხვნელ-მთესველმა თესლის ვეღარ აიღო. დიდი ავდრებისაგან ყანა ძალიან გაიზარდა. როცა მარცვალმა ავსება იწყო, ჯერ თავისის სიმძიმით წაიქცა, შემდეგ დაიჭირა დიდი ქარები და ჯერ კიდევ წყალივით ნედლი ყანები სულ ძირში მოლეწა შემდეგ უცებ დაიჭირა დიდი სიცხეები და სულ მთლათ აიშრიტა. ასე რომ, ასეთ მოუსავლობას ჩვენი სოფელი ჯერ არ მოსწრებია. როგორც ზევითა ვსთქვით, ბევრმა თესლიც ვერ აიღო. ერთად ერთი ჩვენი იმედი ის არის, რომ სხვა მხრიდან—შიგნით კახეთიდან და ქიზიყიდან კარგი ამბავი მოდის და მაშასადამე, შოვნა მაინც შეიძლება. ეს შოვნა კი უნდა იკისროს ეროობებმა, თორემ ცალკ ცალკე მყიდველს სპეკულიანტების კონკურენცია ამოხდის სულს. ეს სოფელი უმთავრესად მისდევდა ხვნა-თესვას. ეს იყო მისი საჭმელ სასმელიც, ჩასაცმელიც და ყოველივე აუცილებელი მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელი საშვალება. ასეთ დროს წრეგანდელი ნავარაუდევი სიდიდე ხარჯებისა ხალხს უჩვეულო გაჭირვებაში ჩააგდებს. საჭიროა ეს მხედველობაში იქნეს მიღებული ვისგანაც ჯერ არს. **Გ. ᲙᲐᲜᲯᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

1918 წ. 2 აპრილს როცა ბათუმი ოსმალებმა აიღეს, მაშინ დაიკარგა ჯარისკაცი დათიკო ქრისტეფორეს ძე ხუნდაძე, რომელიც მსახურებდა მესამე ცხენოსან პოლკში. თუ ვინმემ რაიმე იცის, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი ადრესით: თფილისში, ტრამვაის კანტორა, ნიკოლაიშვილს, ან საქმიანსერიტარასი ხუნდაძეს.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘ

ᲕᲣᲘᲓᲘ

მეჩექმის სახელოსნოს სრული მოწყობილობით და იარაღით. მისამართი: განჩარნი ქ. № 33, სახლი გეგეჭკორისა.

ექიმი **მ. Შ. ᲨᲐᲚᲘᲨᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

დოქტორი **მ. ᲑᲣᲚᲓᲨᲢᲔᲘᲜᲘ**
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი გოსპიტალისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.
თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ელისაბედის ქუჩაზე სახლში № 157 გაიხსნა დიდების
ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ
ავადმყოფები მიიღება დილის 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე, (24—11)

ექიმი **მ. Ა. ᲨᲐᲨᲘᲐᲜᲘ**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი **ნ. Ე. ᲪᲣᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულ. ოთხშაბათობით და შაბათობით დილ. 10—11 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

ექიმი **Ა. Ე. ᲙᲔᲙᲔᲚᲘᲐ**
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606“ და „914“ მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

ექიმი **ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲫᲔ ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲐᲫᲔ**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებდა მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა **Გ. Ბ. ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲐᲒᲘᲐᲜᲪᲘ**
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა ᲧᲡᲮᲘᲕᲔᲑᲘთ, დიდი სალენოიდი და არსენვალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92.

საექიმო კაბინეტი
ექიმ **Ჯ. Თ. ᲑᲣᲔᲜᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ**
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები საშარდე და სასქესე ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

ექიმი ქალი **Მ. Გ. ᲨᲘᲨᲚᲘᲜ-ᲡᲐᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ჭიროურგიულ კოლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი **Ქ. Ი. ᲯᲐᲨᲐᲠᲘᲫᲔ**
ლებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: ზადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

ᲗᲤ. ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

(ყოფილი საოსტ. ინსტიტუტი), არსებული თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ამით აცხადებს შემდეგს:

1) ინსტიტუტი შესდგება ორი საფეხურისაგან. 2) თითოეული საფეხურის კურსი ორწლიანია. 3) პირველი საფეხური ამზადებს უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელს. 4) მეორე საფეხური ამზადებს საშუალო სკოლის მასწავლებელს. 5) პირველ საფეხურზე მიიღებიან ყველანი, ვისაც მთავრობის ვაჟთა ან ქალთა საშუალო სასწავლებელი აქვს დასრულებული, აგრეთვე საოსტატო სემინარია, ან და ვინც პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებულ გამომცდელ კომისიაში ჩააბარებს გამოცდებს (პროგრამები ინახება ინსტიტუტში). 6) მეორე საფეხურზე მიიღებიან ან ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულნი, ან თფილისის უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელთაც ინსტიტუტის პირველი საფეხური აქვთ გავლილი.

თხოვნები მიიღება თფილისში (პედაგოგ. ინსტიტ., დიდი მთავრის ქ. № 91) დირექტორის ბინა. (7—1)

ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡᲘ, ᲒᲐᲜᲐᲮᲒᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲕᲔᲚᲘ № 1.